



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27211874

თარიღი:06/07/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №49

06 ივლისი 2021 წ.

ქ. თელავი

„ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ - დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

1. გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოების ვადა „ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.
2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში „ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2021 წლის 20 აგვისტომდე.
4. „ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2021 წლის 1 სექტემბრამდე.
5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

